

## 10 . 1 . სისტემის არსი

ზემოთ აღწერილი დანახარჯთა აღრიცხვის სისტემები იწოდება სრულ (შთანთქმულ) დანახარჯთა აღრიცხვის სისტემებად. საქონლის ნაწარმოებისა თუ მომსახურების დანახარჯები სრულად შთანთქმება ამ ნაწარმის მიერ (გადაიტანება ამ ნაკეთობაში). როგორც აღრიცხვის პრინციპებით, ისე საგადასახადო კანონმდებლობით მოითხოვება რომ დაუმთავრებელი წარმოების და მზა პროდუქციის მარაგი აისახოს სრული თვითღირებულებით, (რასაც მე-6 თემაში ვებაზდით სასაწყობე თვითღირებულებას), გარდა ამისა ეს შეესაბამება ფინანსური აღრიცხვის კონცეფციას, რომლის თანახმად აქტივები აისახება თვითღირებულებით. თუმცა ზოგიერთი კომპანია მეტი ოპერატორი მართვისათვის მართებულად მიიჩნევს სასაქონლო მატერიალური მარაგი ასახოს მხოლოდ წარმოების ცვლადი დანახარჯების სიდიდით, მუდმივი საერთო სამეურნეო დანახარჯები კი განიხილება როგორც იმ საანგარიშო პერიოდის ხარჯები, რომელშიც ეს დანახარჯები იქნა გაწეული. მუდმივი დანახარჯები ფასდება როგორც მიმდინარე საანგარიშო პერიოდში საწარმოო პროცესის შესანარჩუნებლად გაწეული დანახარჯები და არა როგორც პირდაპირი (სასაქონლო მატერიალურ მარაგში ასახული) დანახარჯები.

**სისტემას** - რომელიც სასაქონლო მატერიალურ მარაგში ჩასართავ დანახარჯებად განიხილავს მხოლოდ წარმოების ცვლად დანახარჯებს, ხოლო წარმოების მუდმივი დანახარჯები ფასდება როგორც პერიოდის ხარჯები – ეწოდება ცვლად დანახარჯთა აღრიცხვის სისტემა. ასევე ხშირად (მაგრამ არა მართებულად) იყენებენ ტერმინს “პირდაპირ დანახარჯთა აღრიცხვის სისტემა” (დირექტ – კოსტინგ).

სრულ დანახარჯთა აღრიცხვის სისტემასთან შედარებით ცვლად დანახარჯთა აღრიცხვის სისტემის უპირატესობის დასამტკიცებლად შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი არგუმენტები:

1. რამდენადაც ცვლად დანახარჯთა აღრიცხვის სისტემის გამოყენებისას მუდმივი სამეურნეო დანახარჯები არ მიეკუთვნება ცალკეულ ერთეულ პროდუქტს, აღარ არის საჭირო მუდმივი საერთო სამეურნეო ხარჯების ნორმატივების გაანგარიშება, რომელიც იყო საკმაოდ რთული.
2. სრულ დანახარჯთა აღრიცხვის სისტემაში საერთო სამეურნეო დანახარჯების გადახრა მოიცავს ორ შემადგენელს 1) საერთო სამეურნეო დანახარჯების ღირებულებით გადახრა, რომელიც წარმოიშობა ფაქტიურ და გეგმიურ საერთო სამეურნეო ხარჯებს შორის სხვაობით; 2) ზედნადებ დანახარჯთა სხვაობა, რომელიც წარმოიშობა წარმოების ფაქტიურ მოცულობასა და მის ნორმატულ მოცულობას შორის სხვაობით და ეწოდება მოცულობის მიხედვით საერთო სამეურნეო ხარჯების გადახრა. საერთო სამეურნეო ხარჯების გადახრა რომელიც გამოიყენება ცვლად დანახარჯთა აღრიცხვის სისტემაში, შედგება მხოლოდ საერთო სამეურნეო ხარჯების ღირებულებით გადახრის კომპონენტისაგან.
3. ცვლად დანახარჯების აღრიცხვის სისტემაში ცალკე განიხილება ცვლადი და მუდმივი საწარმოო დანახარჯები. ასეთი დაყოფა სასარგებლოა კონტროლის მიზნითაც, რამდენადაც ცვლადი დანახარჯები ბუნებრივად კონტროლდება ყოველ ერთეულ პროდუქციასთან შესაბამისობის პრინციპით, ხოლო მუდმივი დანახარჯები – საანგარიშო პერიოდში მისი ფაქტიური საერთო სიდიდის აღრიცხვის საფუძველზე.

4. ცვლადი დანახარჯების აღრიცხვის სისტემის გამოყენებისას შესაძლებელია საანგარიშგებო დოკუმენტში ასახული შემოსავლის ოდენობა შეუდარდეს გაყიდვების მოცულობას. დანახარჯების სრული თვითღირებულებით აღრიცხვის სისტემაში ამ შემოსავლის სიდიდე დამოკიდებულია, როგორც გაყიდვების მოცულობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, ასევე ამავე პერიოდის წარმოების მოცულობაზეც. მზა პროდუქციის მარაგის ფიზიკური მოცულობის ცვლილება, რომელიც ყოველთვის წარმოიშობა თუ წარმოების და გაყიდვის მოცულობები ერთმანეთს არ უტოლდება, ახდენს გავლენას საანგარიშო პერიოდის შემოსავლის სიდიდეზე.

სრულ დანახარჯთა აღრიცხვის სისტემისას – მოგება პროდუქციის ერთეულზე განსხვავებულია სხვადასხვა მოცულობის დროს.

ცვლად დანახარჯთა აღრიცხვის სისტემისას – მოგება პროდუქციის ერთეულზე უცვლელი სიდიდეა, რაც მეტია გაყიდვის მოცულობა მით მეტია მოგება. სწორედ ეს წარმოადგენს ცვლად დანახარჯთა აღრიცხვის სისტემის საკმაოდ მნიშვნელოვან უპირატესობას.

## 10 . 2 . ზღვრული მოგების ცნება. კალკულაცია ცვლადი დანახარჯებით

ცვლადი დანახარჯებით კალკულაცია აღრიცხვის ისეთი სისტემაა, რომელშიც ცვლადი დანახარჯები ერთცხება პროდუქციის ერთეულის თვითღირებულებას, ხოლო პერიოდის მუდმივი დანახარჯები მთლიანად ჩამოიწერება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში:

- კალკულაცია ცვლადი დანახარჯებით წარმოადგენს დანახარჯთა სრული განაწილებით კალკულაციის აღტერნატიულ საკალკულაციო სისტემას;
- პროდუქციის ერთეულის ცვლადი დანახარჯი არის, პროდუქციის მთლიანი ცვლადი დანახარჯები (ე.ი. პირდაპირი მასალები, პირდაპირი შრომა და ცვლადი ზედნადები ხარჯები);
- ამგვარად, ამა თუ იმ პროდუქტის ცვლადი დანახარჯი ამ პროდუქტის დამატებითი ერთეულის დამატებითი დანახარჯია.


### 10 . 2 . 1 . ზღვრული მოგების ცნება

ზღვრული მოგების ცნება ცვლადი დანახარჯებით საკალკულაციო სისტემის ცენტრალური ცნებაა. ზღვრული მოგების გამოთვლა შესაძლებელია შემდეგნაირად.

**ზღვრული მოგება = სარეალიზაციო ფასი – ცვლადი დანახარჯები**

### 10 . 2 . 2 . ზღვრული მოგების კონცეფცია

ეს კონცეფცია იკავებს მნიშვნელოვან აღგილს ბიზნესის სილრმისეულ გაგებაში და ამიტომ მისი ცოდნის გარეშე ძნელია ჩავწვდეთ ძირითად ასპექტებს. შემდეგი ნახაზი იძლევა საშუალებას ამომწურავად ჩავწვდეთ ამ კონცეპციას.



თთოეული “წვეთი” რომელიც ვარდება შემოსავლის მილიდან არის ამონაგები პროდუქციის ერთეულის რეალიზაციიდან (ა.ე.რ), რომლის ნაწილიც მიდის ცვლადი დანახარჯის დასაფარად – ეს არის ცვლადი დანახარჯი ერთეულზე (ც.დ.ე). ის რაც რჩება ცვლადი დანახარჯის დაფარვის შემდეგ, არის ზღვრული მოგება ანუ თთოეული გაყიდული ერთეულის “შენატანი” დანაზოგის ფიალაში. ამ ფიალის სიდიდე განსაზღვრულია მუდმივი დანახარჯის მაჩვენებლით. როდესაც “შენატანი” პირამიდე აავსებს დაზოგის ფიალას, მიღწეულია წაუგებლობის წერტილი (დაფარულია ყველა მუდმივი და ცვლადი დანახარჯი). თუ გავყოფთ ფიალის მოცულობას “შენატანის” წვეთის მოცულობაზე, ვღებულობთ წვეთების რაოდენობას, რომელიც საჭიროა ფიალის ასავსებად. მაგალითად თუ ფიალის მოცულობა არის 400 ლარი, თთოეული “შენატანის” წვეთის მოცულობა კი  $2.5$  ლარი, მაშინ  $400 / 2.5 = 160$  წვეთია საჭირო ფიალის ასავსებად.

როდესაც დანაზოგის ფიალა აივსება, თთოეული დამატებითი “შენატანის” წვეთი ჩაედინება მოგების ფიალაში, მაგრამ არცეთი წვეთი არ გადაიღვრება დანაზოგის ფიალიდან, სანამ მუდმივი ხარჯი არ იქნება გადაფარული.

ვიმედოვნებთ, რომ ეს თვალსაჩინო წარმოდგენა გვიადვილებს ზღვრული მოგების გაცნობიერებას – იმას, რომ ის პირველ რიგში ემსახურება მუდმივი დანახარჯების

გადაფარვას და ამის შემდეგ დარჩენილი ნაწილი არის მოგება. ეს სქემა ასევე გვეხმარება გავიგოთ თუ როგორ მოქმედებს წაუგებლობის წერტილზე მუდმივი დანახარჯების შემცირება, ზღვრული მოგების ზრდა და ა.შ. ასევე ეს სქემა წარმოადგენს “ფულის კეთების” პროცესის განზოგადოებულ მოდელს.

- ზღვრული მოგება გვიჩვენებს, რამდენი ფულია საჭირო ორგანიზაციის მუდმივი ზედნადები ხარჯების დასაფარავად;
- წარმოებისა და რეალიზაციის სხვადასხვა დონის პირობებში პროდუქციის ერთეულზე ზღვრული მოგება უცვლელი რჩება;
- წარმოებისა და რეალიზაციის სხვადასხვა დონის პირობებში პროდუქციის ერთეულზე მოგება სხვადასხვანაირია;
- მთლიანი ზღვრული მოგება = ერთეულის ზღვრული მოგება  $\times$  რეალიზაციის მოცულობა;
- მოგება = მთლიანი ზღვრული მოგება – მუდმივი ზედნადები ხარჯები.

### მაგალითი:

შემდეგი ინფორმაცია ეხება კომპანიას, რომელიც უშვებს ნათურას. ერთეული ნათურის დანახარჯთა ბარათი შემდეგი სახისა:

	ლარი	ლარი
სარგალიზაციო ფასი		600
პირდაპირი მასალები	200	
პირდაპირი შრომა	<u>150</u>	
ძირითადი დანახარჯი	350	
ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები	50	
მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები	<u>100</u>	
მთლიანი დანახარჯი	500	

შეფასდა, რომ პერიოდის მუდმივი დანახარჯები იქნება 120.000 ლარი.

ვნახოთ ნათურების სხვადასხვა რაოდენობის რეალიზაციის შემთხვევაში როგორი იქნება დანახარჯები და ამონაგები.

	1.200	1.500
	ნათურის გაყიდვა	ნათურის გაყიდვა
	ლარი	ლარი
<b>ამონაგები რეალიზაციიდან</b>	<b>720.000</b>	<b>900.000</b>
პირდაპირი მასალები	240.000	300.000
პირდაპირი შრომა	<u>180.000</u>	<u>225.000</u>
<b>ძირითადი დანახარჯები</b>	<b>420.000</b>	<b>525.000</b>
ცვლადი საწარმო		
ზედნადები დანახარჯები	60.000	75.000
<b>წარმოების ცვლადი დანახარჯი</b>	<b>480.000</b>	<b>600.000</b>
<b>ზღვრული მოგება</b>	<b><u>240.000</u></b>	<b><u>300.000</u></b>
ზედმიერ საწ. ზედნადები ხარჯები	<u>120.000</u>	<u>120.000</u>
<b>მთლიანი მოგება</b>	<b><u>120.000</u></b>	<b><u>180.000</u></b>
<b>ზღვრული მოგება ერთეულზე</b>	<b><u>200</u></b>	<b><u>200</u></b>
<b>მოგება ერთეულზე</b>	<b>100</b>	<b>120</b>

- როგორც ვხვდავთ, 1200 ნათურის რეალიზაციის შესაბამისი მოგება ერთეულზე 100 ლ, გაზრდილია 120 ლ-მდე 1500 ნათურის რეალიზაციის შემთხვევაში.
- ეს იმითაა განპირობებული, რომ ყველანაირი ცვლადი დანახარჯი (პირდაპირი მასალები, პირდაპირი შრომა და ცვლადი ზედნადები ხარჯები) გაიზარდა, ხოლო ზედმიერ დანახარჯები უცვლელი დარჩა - 120.000 ლ.

ამ ციფრებიდან ჩანს, რომ მოგების ცნება მაინდამაინც არ არის რაიმე სარგებლობის მომტანი, თუ დამოკიდებულია რეალიზებული ერთეულების რაოდენობაზე. ამის გამო, მმართველობით აღრიცხვაში აღმრიცხველები ხშირად იყენებენ ზღვრული მოგების ცნებას.

### 10 . 3 . დანახარჯთა სრული განაწილებით კალკულაციისა და ცვლადი დანახარჯებით კალკულაციის გავლენა მარაგის შეფასებასა და მოგების განსაზღვრაზე.

ცვლადი დანახარჯებით კალკულაციის დროს მარაგის შეფასება ხდება პროდუქციის ერთეულის მთლიანი ცვლადი საწარმოო დანახარჯით.

დანახარჯთა სრული განაწილებით კალკულაციის დროს მარაგის შეფასება ხდება პროდუქციის ერთეულზე გაწეული სრული საწარმოო დანახარჯით.

- ამრიგად, მარაგის შეფასება პერიოდის დასაწყისში და პერიოდის ბოლოს სხვადასხვანაირი იქნება ცვლადი დანახარჯებით კალკულაციისა და დანახარჯთა სრული განაწილებით კალკულაციის დროს
- თუ მარაგის შეფასებები განსხვავებული იქნება, ეს გავლენას იქონიებს პერიოდის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში წარდგენილ საანგარიშგებო მოგებაზე. ამრიგად, ცვლადი დანახარჯებით კალკულაციის პრინციპებით განსაზღვრული მოგება განსხვავებული იქნება დანახარჯთა სრული განაწილებით კალკულაციის პრინციპებით განსაზღვრული მოგებისგან.

### **მაგალითი:**

კომპანიამ საქმიანობა დაიწყო 1 მარტს, მხოლოდ ერთი პროდუქციის გამოშვებით, რომლის ნორმატულ დანახარჯთა ბარათი შემდეგი სახისაა:

	<b>ლარი</b>
პირდაპირი შრომა	5
პირდაპირი მასალა	8
ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები	2
<b>სულ ცვლადი დანახარჯები</b>	<b>15</b>
მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები	<u>5 ლ/ერთეულზე</u>
<b>ნორმატული საწარმოო დანახარჯი</b>	<b>20</b>

მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების ციფრი გამოთვლილია გეგმიური წარმოების დონის – წლიური 36.000 ერთეულის საფუძველზე.

**მარტის თვის ფაქტოური მონაცემების ინფორმაცია:**

მუდმივმა საწარმოო ზედნადებმა ხარჯებმა შეადგინა 15.000 ლ.

**რეალიზაციის, კომერციულმა და ადმინისტრაციულმა ხარჯებმა შეადგინა:**

მუდმივი 10.000 ლარი

რეალიზაციის ღირებულების 15%

ერთეულის სარეალიზაციო ფასი არის 35 ლარი.

წარმოებული ერთეულები 2.000

რეალიზებული ერთეულები 1.500

### **მოვლინებათ:**

მომზადეთ მარტის თვის მოვლისა და ზარალის ანგარიშგება დანახარჯთა სრული განაწილებისა და ცვლადი დანახარჯებით კალკულაციის მეთოდებით.

ამობნა:

მოგებისა და ზარალის ანგარიშება დანახარჯთა სრული განაწილებით კალკულაციის მეთოდით  
მარტი:

	ლარი	ლარი
რეალიზაცია $(1500 \times 35)$	$52.500$	
საწყისი მარავი	0	
ცვლადი საწარმოო დანახარჯი $(2.000 \times 15 \text{ ლ})$	30.000	
შთანთქმული მუდმივი ზედნადები ხარჯები $(2.000 \times 5 \text{ ლ})$	10.000	
მინუს საბოლოო მარავი $(500 \times 20 \text{ ლ})$	<u><math>(10.000)</math></u>	
თვითღირებულება	<u><math>(30.000)</math></u>	
<b>მოგება რეალიზაციიდან</b>	<b>22.500</b>	
შთანთქმის (დანაკლისი) სიჭარბე (გ 1)	<u><math>(5000)</math></u>	
<b>სურთო მოგება</b>	<b>17.500</b>	
მინუს არასაწარმოო დანახარჯები (გ 2)	<u><math>17.875</math></u>	
<b>მოგება/ზარალი</b>	<b><math>(375)</math></b>	

განვარიშებები:

(გ 1) შთანთქმის დანაკლისი	ლარი
შთანთქმული ზედნადები ხარჯები $(2.000 \times 5\text{ლ})$	10.000
გაწეული ზედნადები ხარჯები	15.000
ზედნადები ხარჯების შთანთქმის დანაკლისი	5.000
(გ 2) არასაწარმოო ზედნადები ხარჯები	
მუდმივი	- 10.000
ცვლადი	- $15\% \times 52.500\text{ლ} = 7.875\text{ლ}$
მოლიანი	- $(10.000 + 7.875)\text{ლ} = 17.875\text{ლ}$

- **მარავის შეფასება.** საწყისი და საბოლოო მარავი შეფასებულია მთლიანი საწარმოო დანახარჯით, დანახარჯთა სრული განაწილებით კალკულაციის მეთოდით.
- **ზედნადები ხარჯების შთანთქმის დანაკლისი/ სიჭარბე.** აუცილებელია დანახარჯთა სრული განაწილებით კალკულაციის მეთოდით მომზადებული მოგებისა და ზარალის ანგარიშების კორექტირება ზედნადები ხარჯების შთანთქმის დანაკლისით ან სიჭარბით.

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება ცვლადი დანახარჯებით კალკულაციის მეთოდით  
მარტი:

	ლარი	ლარი
<b>რეალიზაცია</b>	<b>52.500</b>	
საწყისი მარავი	0	
ცვლადი საწარმოო დანახარჯი ( $2.000 \times 15\text{ლ}$ )	30.000	
მინუს საბოლოო მარავი ( $500 \times 15\text{ლ}$ )	<u>(7500)</u>	
<b>თვითდარღმულება</b>	<b>(22.500)</b>	
<b>ამონაგები რეალიზაციიდან</b>	<b>30.000</b>	
მინუს სხვა ცვლადი დანახარჯები ( $15\% * 52.500\text{ლ}$ )	<u>(7.875)</u>	
<b>ზღვრული მოგება</b>	<b>22.125</b>	
მინუს მუდმივი დანახარჯები (ფაქტობრივად გაწეული) ( $15.000 + 10.000$ )	<u>25.000</u>	
<b>მოგება/ზარალი</b>	<b>(2.875)</b>	

- **მარავის შეფასება.** ცვლადი დანახარჯებით კალკულაციის მეთოდით საწყისი და საბოლოო მარავი შეფასებულია მთლიანი ცვლადი დანახარჯებით.
- **ზეთანადები ზარჯების შთანთქმის დანაკლისი /სიჭარბე.** აუცილებელი არ არის ცვლადი დანახარჯებით კალკულაციის მეთოდით მომზადებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგების კორექტირება ზედნადები ზარჯების შთანთქმის დანაკლისით ან სიჭარბით. პერიოდის მოგების დასადგენად მიღებული ზღვრული მოგებიდან გამოიქვითება ფაქტობრივად გაწეული მუდმივი დანახარჯები.

#### 10 . 4 . სხვადასხვა მეთოდით წარმოდგენილი მოგების მაჩვენებლების შეჯერება.

ჩვენ უკვე ვნახეთ, როგორ განსხვავდება ცვლადი დანახარჯებით და დანახარჯთა სრული განაწილებით კალკულაციის პრინციპებით გამოთვლილი მოგება, როდესაც იზრდება ან მცირდება პერიოდის მარავის ნაშთი.

- თუ პერიოდის მანძილზე მარავის ნაშთი იზრდება, მაშინ კალკულაცია დანახარჯთა სრული განაწილებით მოგების უფრო დიდ ციფრს გვიჩვენებს. ასე იმიტომ ხდება, რომ საბოლოო მარავის შეფასებაში შესული მუდმივი ზედნადები ზარჯები

გადაიტანება შემდგომ საანგარიშგებო პერიოდში, ამიტომ არ ხვდება ამ პერიოდის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში.

- თუ მარაგის ნაშთი მცირდება პერიოდის მანძილზე, დანახარჯთა სრული განაწილებით კალკულაციის მეთოდით გამოთვლილი მოგება უფრო მცირე იქნება, ვიდრე ცვალდი დანახარჯებით კალკულაციის მეთოდით გამოთვლილი. ასე იმიტომ ხდება, რომ წინა პერიოდიდან საწყის მარაგში გადმოტანილი მუდმივი ზედნადები ხარჯები “რეალიზდება”, რაც ზრდის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებას და ამცირებს მოგებას.
- თუ პერიოდის მანძილზე მარაგის დონეები არ იცვლება (ე.ი. თუ წარმოებისა და რეალიზაციის დონეები ერთნაირია და ადგილი არ აქვს მარაგის ნაშთის ზრდას ან შემცირებას), მაშინ დანახარჯთა სრული განაწილებით კალკულაციისა და ცვლადი დანახარჯებით კალკულაციის მეთოდებით გამოთვლილი მოგების მაჩვენებლები ერთნაირი იქნება.

ჩვენ შეგვიძლია წინა მაგალითის მონაცემების გამოყენებით ვნახოთ, როგორ ხდება მოგების მაჩვენებლების შეჯერება.

**კომპანიამ საქმიანობა დაიწყო 1 მარტს, მხოლოდ ერთი პროდუქტის გამოშვებით, რომლის დანახარჯთა ბარათი შემდეგი სახისა:**

	<b>ლარი</b>
პირდაპირი შრომა	5
პირდაპირი მასალა	8
ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები	2
მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები	<u>5</u>
<b>სულ საწარმოო დანახარჯები</b>	<b>20</b>

- ცვლადი საწარმოო დანახარჯი  $(5+8+2) = 15\text{ლ}$
- სრული საწარმოო დანახარჯი  $= 20\text{ლ}$
- განსხვავება საწარმოო დანახარჯებში  $= 5\text{ლ}$ , რაც არის სრული საწარმოო დანახარჯის შემადგენელი მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების ელემენტი.
- ეს იმას ნიშნავს, რომ საწყისი და საბოლოო მარაგის თითოეული ერთეული  $5\text{ლ}$ -ით მეტად შეფასდება დანახარჯთა სრული განაწილებით კალკულაციის დროს.

**წარმოებული და გაყიდული ერთეულების რაოდენობა იყო შემდეგი:**

წარმოებული ერთეულები	2.000
რეალიზებული ერთეულები	1.500

- მარტის ბოლოს არსებული საბოლოო მარაგი წარმოადგენს წარმოებული ერთეულების რაოდენობას და გაყიდული ერთეულების რაოდენობას შორის სხვაობას, ე.ი. 500 ერთეული ( $2.000 - 1.500$ ).

- მარტის თვის ზარალი დანახარჯთა სრული განაწილებით კალკულაციის მეთოდით = 375ლ (როგორც გამოთვლილია წინა მაგალითებში).
- მარტის თვის ზარალი ცვლადი დანახარჯებით კალკულაციის მეთოდით = 2.875ლ (როგორც გამოთვლილია მაგალითში).
- ზარალის (მოგების) მაჩვენებლებს შორის განსხვავება = 2.875ლ - 375ლ = 2.500ლ.
- ამ განსხვავების ახსნა შეიძლება შემდევნირად: ივი გამოწვეულია მარაგის შეფასებაში შესული მუდმივი ზედნადები ხარჯებით, ე.ი 500 ერთეული მარაგის “შენახვით”, როდესაც თითოეული ერთეულის მუდმივი ზედნადები ხარჯები არის 5ლ.

$500 \times 5 = 2.500$ , რაც არის კალკულაციის სხვადასხვა მეთოდით შედგენილი მარტის თვის მოგებისა და ზარალის ანგარიშვებაში ასახული მოგების მაჩვენებლებს შორის განსხვავება.

ცვლადი დანახარჯებითა და დანახარჯთა სრული განაწილებით კალკულაციის უპირატესობები:

ცვლადი დანახარჯებით კალკულაციის უპირატესობები	დანახარჯთა სრული განაწილებით კალკულაციის უპირატესობები
<ul style="list-style-type: none"> <li>• ერთეულის ზღვრული მოგება მუდმივია, რეალიზაციის მოცულობის სრული განაწილებისას კი ერთეულზე მოგება იცვლება რეალიზაციის მოცულობის ცვლილებასთან ერთად.</li> <li>• ადგილი არა აქვს ზედნადები ხარჯების შთანთქმის დანაკლისს ან სიჭარებს (და მაშასდამე, საჭირო არ არის მოგებისა და ზარალის ანგარიშვების კორექტირება).</li> <li>• მუდმივი დანახარჯები პერიოდის დანახარჯათ მიზნება და მოლიანად დაერთიცხება განსახილეველ პერიოდს.</li> <li>• კალკულაცია ცვლადი დანახარჯებით სასარგებლოა გადაწყვეტილებების მიღების პროცესისათვის.</li> <li>• მისი გამოყენება ადგილია.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• კალკულაცია დანახარჯთა სრული განაწილებით მარაგის შეფასებებში შემადგენელ კლემბერტად თვალისწინებს მუდმივ ზედნადებს ხარჯებს (აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად).</li> <li>• ზედნადები ხარჯების შთანთქმის დანაკლისის/ სიჭარების ანალიზი სასარგებლოა ორგანიზაციის დანახარჯზე კონტროლის განსახორციელებლად.</li> <li>• მცირე სიღიძის ორგანიზაციებში, ზედნადები ხარჯების შთანთქმა პროდუქციაზე გაწეულ დანახარჯებში საუკეთესო საშუალებაა შეკვეთის დანახარჯებისა და შეკვეთის მოგების პროცენტირებისათვის.</li> </ul>

ცვლადი დანახარჯების კალკულაციის მეთოდი და ზღვრული მოგების ცნება ფართოდ გამოიყენება მართველობით აღრიცხვაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რასაც შემდეგ თავებში განვიხილავთ.